ხელშეკრულება №128

29 ივნისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "მერმისი" (შემდგომში - „შემსყიდველი") დირექტორის ნონა ღუდუშაურის სახით და მეორე მხრივ **შპს „სი-ტი პარკი-ს** (შემდგომში - „მიმწოდებელი") გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის საგანი და ობიექტი

1.1 შესყიდვის საგანია (საბიუჯეტო სახსრებით) დანართ №1-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ექვს თვიანი პარკირების სისტემაში გააქტიურება.

1.2 შესყიდვის ობიექტია 1.1 პუნქტში მითითებული მომსახურების გაწევა (CPV-კოდი 63712400) .

2. შესასყიდი მომსახურების ვადა/რაოდენობა და ფასი (ღირებულება)

2.1 პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 3 (სამი) ერთეულ ავტომანქანაზე 2016 წლის 29 ივნისიდან 2016 წლის 29 დეკემბრამდე. ერთი ავტომანქანის ექვსი თვის პარკირების საფასური შეადგენს 25,00 (ოცდახუთი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 75,00 (სამოცდათხუთმეტი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება შემდეგი ექვსი თვის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია .

3. 3 შემსყიდველი გამოყოფს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს კოლეჯის პოლიგრაფიული კორპუსის ადმინისტრატორს გიორგი თათანაშვილს.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს კოლეჯში მოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება მოქმედებს 2016 წლის 29 ივნისიდან 2017 წლის 29 იანვრამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "მერმისი" საიდენტიფიკაციო კოდი: 209467646; მის: ქ. თბილისი გურამიშვილის გამზირი №72ბ ტელ: +995(32)1478 87 სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ორგანიზაციული კოდი 32030111 ---------- დირექტორი ნ. ღუდუშაური	შპს „სი-ტი პარკ" საიდენტიფიკაციო კოდი 204543770 ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47 ტელ: 2555123 ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ ბანკის კოდი: REPLGE22 ანგარიშის №GE90 BR00000 106 086 189 45 ---------- გენერალური მენეჯერი ბ. ლაჭავ

დანართი №1

2016 წლის "29 ივნისის" N128 ხელშეკრულებასთან

1. MERCEDES- BENZ SPRINTER 313 CDI -სახელმწიფო ნომერი: CIC 761
2. VOLKSWAGEN PASSAT -სახელმწიფო ნომერი: RSR 608
3. LAND ROVER - სახელმწიფო ნომერი IBG-869

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ მერმისი“	შპს "სი-ტი პარკ"-ი
დირექტორი	გენერალური მენეჯერი
ნონა ღუდუშაური	ბინიამინ ლაჰავი